ახალი ხარაგაული

№333 (25), 24 ოქტომბერი, 2016 წ.

როგორ აფასებენ არჩევნების პირველ ტურს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები

საპარლამენტო არჩევნების მეორე ტური 30 ოქტომბერს 50 მაჟორიტარულ ოლქში გაიმართება. არჩევნების მეორე ტური ჩატარდება ბაღდათისა და ხარაგაულის ოლქში, სადაც ერთმანეთს „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ კანდიდატი კობა ლურსმანაშვილი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი გიორგი რობაქიძე დაუპირისპირდებიან. პირველ ტურში კობა ლურსმანაშვილმა საერთო ხმების 48% მიიღო, გიორგი რობაქიძეს კი ნდობა 26,48%-მა გამოუცხადა. როგორ აფასებენ არჩევნების შედეგებს საარჩევნო სუბიექტები, რას პროგნოზირებენ მეორე ტურზე და რატომ უნდა დაუჭიროს მხარი მათ ამომრჩეველმა, ამის შესახებ პირადად გვესაუბრებიან.

„არჩევნებმა მშვიდ და წყნარ გარემოში ჩაიარა. საარჩევნო ველი სრულიად თავისუფალი იყო. არ ჰქონდა ადგილი შანტაჟს, მოსყიდვასა და ზეწოლას. აქედან გამომდინარე, ყველა პოლიტიკურ სუბიექტს ჰქონდა თანაბარი შესაძლებლობა, რომ სრულფასოვანი საარჩევნო კამპანია ჩაეტარებინა, ხოლო ამომრჩეველს გადაწყვეტილება თავისი შეხედულებისამებრ მიეღო“ — აცხადებს „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ კანდიდატი კობა ლურსმანაშვილი. საარჩევნო ბიულეტენი ბეჭდავს ეროვნული ბანკი, ბეჭდვა ეროვნული ბანკის ბეჭდვითი ფაბრიკა

ᲒᲖᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲔᲚᲡ ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲝᲠ ᲛᲘᲚᲘᲝᲜ ᲚᲐᲠᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲓᲐᲘᲮᲐᲠᲯᲐ

დასაწყისი პირველ გვერდზე

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში 138 პროექტი უკვე დასრულებულია, ხოლო ორმოცდახუთზე სამუშაოები ამ დრომდე მიმდინარეობს. მეტად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები დაფინანსდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან. საერთო ჯამში ამ მიმართულებით 188 269 ლარია გახარჯული.“ - დასძინა ბატონმა მალხაზმა.

ბიუროს სხდომაზე მალხაზ ფხალაძემ იმ მასშტაბური პროექტების შესახებაც ისაუბრა, რომლებიც ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ცენტრალური ხელისუფლების დაფინანსებით ხორციელდება. მისივე ინფორმაციით, უკვე დაიწყო ბაზალეთი-სარგვეში-ღორეშა - უბისის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია, რომელიც მუნიციპალური განვითარების ფონდმა 2 მილიონ 441 084 ლარით დააფინანსა. უახლოეს დღეებში ასევე დაიწყება დიდვაკის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, რომლის განხორციელებისთვისაც საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა 997 791 ლარი გამოყო.

ანგარიშის განხილვის პროცესში საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ვარლამ ჭიპაშვილი, დიდვაკისა და საღანძილის საბავშვო ბაღების პროექტებით დაინტერესდა.

მალხაზ ფხალაძის თქმით, საღანძილის საბავშვო ბაღის პროექტი უკვე მზადაა და მისი ღირებულება 59 739 ლარია. „ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები მუნიციპალური განვითარების ფონდთან, როგორც კი თანხა გამოიძებნება, საღანძილეში ბაღის მშენებლობა დაიწყება. რაც შეეხება დიდვაკის საბავშვო ბაღს, ვგეგმავთ პროექტის გაკეთებას.“ - განმარტა ფხალაძემ.

ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ანგარიშის შესახებ დეპუტატები უფრო ვრცლად 7 ნოემბერს გამართულ საკრებულოს სხდომაზე იმსჯელებენ.

ᲛᲐᲠᲘᲐᲜᲐ ᲒᲣᲠᲯᲐᲚᲘᲐᲜᲘ

ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲣᲠᲘ 30 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ

საპარლამენტო არჩევნების მეორე ტური 50 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 30 ოქტომბერს გაიმართება. ამის შესახებ ცენტრალური საარჩევნო კომისია განცხადებას ავრცელებს. საპარლამენტო არჩევნებისა და გამგებლის არჩევნების მეორე ტური ხარაგაულის მუნიციპალიტეტშიც გაიმართება, რადგან პირველ ტურში ბარიერის გადალახვა ვერც ერთმა კანდიდატმა მოახერხა. ცესკოს მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციით, ხარაგაულისა და ბაღდათის გაერთიანებულ სამაჟორიტარო ოლქში, ერთმანეთს „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატები დაუპირისპირდებიან. მაჟორიტარი დეპუტატობისთვის სულ 13 კანდიდატი იბრძოდა, მათგან ხმების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი-48%, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ კანდიდატმა, კობა ლურსმანაშვილმა, მიიღო. მეორე ადგილზე გასულმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატმა გიორგი რობაქიძემ კი- 26.48%.

რაც შეეხება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პოზიციას, მის დასაკავებლად ასევე „ქართული ოცნების“ კანდიდატი ნიკოლოზ თოფურიძე და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი თამაზ ლომიძე იბრძოლებენ. შეგახსენებთ, რომ თოფურიძემ არჩევნების პირველ ტურში ამომრჩეველთა ხმების 49.87% მიიღო, ლომიძემ კი 23,18%.

ᲣᲮᲕᲘ ᲜᲐᲚᲔᲥᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲓ�გᲔᲜᲐᲓ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

2015-2016 წლებში სხვადასხვა სტიქიური მოვლენის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ საქართველოს მთავრობის N1553 განკარგულებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტს 204 900 ლარი გამოეყო. აღნიშნული თანხა ძირითადად გზებისა და ხიდების რეაბილიტაციის, ნაპირსამაგრი სამუშაოებისა და გაბიონების მოსაწყობად დაიხარჯება. სამუშაოების განხორციელების მიზნით ტენდერი უკვე დასრულდა და რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში სამუშაოების განხორციელებაც დაიწყო.

ამ ეტაპზე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს: ღორეშაში, ვერტყვიჭალაში, ხუნევში, წაქვასა და გრიგალათში, რომელსაც ტენდერში გამარჯვებული ი/მ „ტრისტან ლომიძე“ ასრულებს.

მოლითი - ზვარის ადმინისტრაციულ ერთეულებში დაზიანებული გზების შეკეთების სამუშაოებს ი/მ „ლევან ლევიძე“ განახორციელებს. სამუშაოები 10 ოქტომბერს დაიწყო და მისი ღირებულება 17 999 ლარია. პროექტი ქვებში ცენტრალური გზის რეაბილიტაციას, ნებოძირსა და დეისში დაზიანებული გზის მონაკვეთის შეკეთებას ითვალისწინებს. რაც შეეხება სოფელ ზვარეს, აქ შიდა საუბნო გზა მოიხრეშება. გზა შეკეთდება ასევე ჩრდილში კაოთისა და კოშკის უბანში.

სტიქიის შედეგად დაზარალებულ ობიექტებზე სარეაბილიტაციო სამუშაოები სოფელ ლაშის ადმინისტრაციულ ერთეულშიც განხორციელდება. ლაშე, უჩამეთი, ხემაღალი, იგორეთი, ეს იმ სოფლების ჩამონათვალია, სადაც გზები მოიხრეშება. სამუშაოები 7 ნოემბერს დასრულდება და მას შ.პ.ს. „ფუგო“ შეასრულებს.

ტენდერი გამოცხადებული იყო ვარძია - კიცხი - ხიდარი - წყალაფორეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზებისა და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია/გაწმენდაზე. გამოვლენილია გამარჯვებული კომპანია და სამუშაოები 18 ნოემბერს დასრულდება.

გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს ვახანსა და წიფის ადმინისტრაციულ ერთეულებში. სამუშაოებს შ.პ.ს. „ნიუბელდერი“ ასრულებს.

ბაზალეთში, ფარცხნალსა და საღანძილეში უხვი ნალექების შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღსადგენად ტენდერი ი/მ „ნიკოლოზ მღვდელაძემ“ მოიგო. ბაზალეთში დევდარიანებისა და ჭიპაშვილების უბანში გზების, ღარიხევში — კი ცენტრალური გზის შეკეთება დაიწყება. ფარცხნალში, არღუნაშვილების უბანში, წყალგამტარი რგოლები გაიწმინდება. ახალსოფელში ოკიშურის ცენტრალური გზა დაიხრეშება. ასევე გაიწმინდება სანიაღვრე არხი. ღუდუმექეთში იგეგმება ხიდ-ბოგირის რეაბილიტაცია. ისლარში ნაპირსამაგრი და გაბიონების მოწყობა. საღანძილის ადმინისტრაციულ ერთეულში- ჩხერსა და ზარანში ცენტრალური გზის გასწორხაზოვნება. მიმდინარე სამუშაოები 15 ნოემბრამდე დასრულდება.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲗᲐᲚᲠᲐᲫᲔ

ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ ᲡᲐᲑᲘᲣᲯᲔᲢᲝ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲘᲛᲡᲯᲔᲚᲔᲡ

18 ოქტომბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გაიმართა. სხდომაზე დეპუტატებმა საბიუჯეტო ცვლილების შესახებ იმსჯელეს, რომელიც მათ გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, ვლადიმერ გელაშვილმა, გააცნო. როგორც მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავება“ ოქტომბრის თვის ხელფასების გაცემისა და სხვა აუცილებელი ხარჯებისათვის დამატებით 50 ათას ლარს ითხოვდა. აღნიშნული თანხა კი გზების მოვლა-შენახვის ხარჯებიდან გამოიყო.

საბიუჯეტო ცვლილებასთან დაკავშირებით შენიშვნები გამოთქვა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე თორნიკე ავალიშვილმა და საკითხს მხარი არ დაუჭირა. მისი განცხადებით ა(ა)იპ-ებში დასაქმებულნი არიან საკრებულოს წევრები იმიტომ, რომ ყველა გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირონ.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, აღნიშნა, რომ დეპუტატის სხვა ორგანიზაციაში მუშაობას კანონი არ კრძალავს.მისივე თქმით, ა(ა)იპ-ის თანამშრომლებისთვის ხელფასების გაცემა აუცილებელია.

„არ არის მიზანშეწონილი გზის მოვლა-შენახვის ხარჯების თანხების შემცირება, თუმცა მუნიციპალიტეტის ვალდებულებაა, როდესაც პიროვნებას ასაქმებს, მას ხელფასი გადაუხადოს. თანხის მოთხოვნის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ ა(ა)იპ-ის სამოქმედო არეალი და საშტატო ერთეული გაიზარდა. ასევე საჭიროა ზამთრისათვის თანამშრომლებისათვის სპეცტანსაცმლის შეძენა. აქვე მინდა განვმარტო, რომ წლის დასაწყისში, ბიუჯეტში, გზის მოვლა-პატრონობის ხარჯები 180 ათასი ლარით განისაზღვრა. თუ ამ ეტაპზე გზების მოვლა-შენახვის ხარჯებიდან თანხა შემცირდა, ამით საქმე არ ფუჭდება. მიმდინარე წელს ამ მიმართულებით საკმაოდ სოლიდური თანხები დაიხარჯა და ბევრ სოფელში გზები მოასფალტდა, ზოგან კი მოიხრეშა. უხვი ნალექების შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღსადგენად 204 000 ლარი მიიღო ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა. ამ პროგრამის ფარგლებში სამუშაოების ნაწილი დაწყებულია, ნაწილი მალე დაიწყება. უმრავლესობა ამ თანხებისა სწორედ გზების მოვლა-შენახვისკენაა მიმართული. აქედან გამომდინარე, არცერთი ადმინისტრაციული ერთეული უყურადღებოდ არ დარჩება და პოლიტიკური ქულების დაწერის მიზნით ნუ გამოიყენებთ საბიუჯეტო ცვლილებას“- განმარტა ვარლამ ჭიპაშვილმა.

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ ვარლამ (ტატო) თავზარაშვილმა, აღნიშნა, რომ თორნიკე ავალიშვილი პოპულისტურ განცხადებებს აკეთებს. მისივე თქმით, ა(ა)ი პ „ხარაგაულდასუფთავება“ ერთ-ერთი წარმატებული ორგანიზაციაა. „ვფიქრობ, კრიტიკა იმ პარტიის წარმომადგენლის მხრიდან ცოტა უხერხულია, რომლის მმართველობის დროს ხარაგაულში, 2011 წელს, პრემიის სახით, 123 ათასი ლარი გაიცა, ხოლო 2012 წელს - 207 ათასი ლარი. ბოლო ოთხ წელიწადში ხარაგაულში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები რომ შევადაროთ მათი მმართველობის პერიოდს, მაშინ ამის მეათედიც არ გაკეთებულა. ვის უკვეთავდნენ სამუშაოებს და როგორც, ესეც კარგად იცის ხარაგაულის საზოგადოებამ. მხარს ვუჭერ საბიუჯეტო ცვლილებას და ვფიქრობ, ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავებამ“ უნდა გააგრძელოს მუშაობა იმ წარმატებით, როგორც ამას დღემდე ასრულებს” - განაცხადა ვარლამ (ტატო) თავზარაშვილმა.

დეპუტატებმა საბიუჯეტო ცვლილება ხმათა უმრავლესობით დაამტკიცეს.

ᲛᲐᲠᲘᲐᲜᲐ ᲒᲣᲠᲯᲐᲚᲘᲐᲜᲘ

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲛᲐ ᲑᲝᲠᲘᲗᲨᲘ ᲛᲔᲠᲐᲑ ᲙᲝᲡᲢᲐᲕᲐᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲘ ᲛᲘᲐᲒᲔᲡ

13 ოქტომბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში, იქ, სადაც 1989 წლის 13 ოქტომბერს ავარიის შედეგად მერაბ კოსტავა ტრაგიკულად დაიღუპა, ღირსეული მამულიშვილის ხსოვნის დღე აღინიშნა. საქართველოს ეროვნული გმირის გარდაცვალების ადგილზე მისი ერთგული მეგობრები შეიკრიბნენ. ღონისძიებას ესწრებოდნენ და მერაბ კოსტავა გაიხსენეს საქართველოს კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარემ ზვიად ძიძიგურმა, პარლამენტარმა ბიძინა გუჯაბიძემ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა დავით დევდარიანმა, გამგებლის პირველმა მოადგილემ პაატა გოგოლაძემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მანანა ბარბაქაძემ და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა. ღონისძიებაზე ასევე იმყოფებოდნენ ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი კობა ლურსმანაშვილი და გამგებლობის კანდიდატი ნიკოლოზ თოფურიძე. საქართველოს ეროვნული გმირის სულის მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადა მამა მირიანმა (სამხარაძე).

„მერაბი იყო სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანი. მისი გარდაცვალება უდიდესი ტკივილია მთელი საქართველოსათვის. სასიხარულოა, რომ ახალგაზრდებს ვხედავ დღეს ამ ადგილზე. მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ, ვინ იყო მერაბ კოსტავა, ღმერთმა აცხონოს მისი უკვდავი სული“-აღნიშნა მამა მირიანმა.

მერაბ კოსტავას ღვაწლსა და დამსახურებაზე ისაუბრა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ პაატა გოგოლაძემ. „იგი იყო მებრძოლი ადამიანი, რომელიც თავის სამშობლოს კეთილდღეობისათვის უკან არაფერზე იხევდა. მისი პიროვნება მაგალითია ჩვენი მომავალი თაობისა, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი. ვისურვებდი, ჩვენს სამშობლოს ბევრი აღეზარდოს მერაბ კოსტავას მსგავსი პიროვნება“.

საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერის, ზვიად ძიძიგურის, თქმით, მერაბ კოსტავას, სახით საქართველოს ჰყავდა გმირი, რომელიც სამშობლოს ინტერესების დასაცავად ქედს არავის წინაშე იხრიდა.

შეხვედრაზე ხარაგაული-ბაღდათის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა, კობა ლურსმანაშვილმა, აღნიშნა, რომ ის ჯერ კიდევ 18 წლის ასაკში ჩაერთო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში და სრულიად ახალგაზრდა ჩადგა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერების, მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას, თანამებრძოლთა რიგებში.

„ის იყო განსაკუთრებულად შეუვალი და უკომპრომისო იქ, სადაც საქართველოს ინტერესები იკვეთებოდა. ადამიანებს აძლევდა სტიმულს, ყოფილიყვნენ ისეთები, როგორიც ის იყო თავად. მიხარია და მსიამოვნებს, რომ დღეს, აქ, ხარაგაულში, მისი სახელობის მემორიალთან შევიკრიბეთ... და მიხარია, რომ აქ არიან ბავშვები, ჩვენი მომავალი თაობა. მათ უნდა იცოდნენ იმ მიზნის მნიშვნელობა, რისთვისაც მერაბ კოსტავა იბრძოდა“, - აღნიშნა კობა ლურსმანაშვილმა.

ამ დღეს თბილისიდან სპეციალურად ჩამოვიდნენ და მერაბ კოსტავას ხსოვნას პატივი მიაგეს საქართველოს მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონის (დირექტორი მამა მირიან-სამხარაძე), აღსაზრდელებმა.

მერაბ კოსტავას სახელის გახსენებისა და პატივგების შემდეგ სტუმრებმა ეროვნული გმირის სახელობის სკვერში გადაინაცვლეს. შეგახსენებთ, რომ აღნიშნული სკვერი ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით ერთი წლის წინ მოეწყო.

ᲔᲙᲐ ᲨᲐᲕᲘᲫᲔ

ᲑᲐᲖᲐᲚᲔᲗᲘ-ᲡᲐᲠᲒᲕᲔᲨᲘ-ᲦᲝᲠᲔᲨᲐ-ᲣᲑᲘᲡᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ �გᲖᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

ბაზალეთი-სარგვეში-ღორეშა-უბისის ცენტრალური გზის კაპიტალური მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე ტენდერი დასრულდა. პროექტის ღირებულება 2 მილიონ 450 ათასი ლარი გახლავთ. სარეაბილიტაციო სამუშაოებს შპს „თიჯარეთის ფილიალი საქართველოში“ შეასრულებს და ათ თვეში დასრულდება.

აღსანიშნავია, რომ ამ გზის მოასფალტებით ხარაგაული-ღორეშა-უბისის საავტომობილო გზა, რომელიც მუნიციპალიტეტის ცენტრს თბილისი-სენაკი-ლესელიძის ცენტრალურ საავტომობილო გზასთან აკავშირებს და მუნიციპალიტეტის ხუთ ტერიტორიულ ერთეულზე გადის, სრულად რეაბილიტირებული იქნება. სოფელ უბისის საავტომობილო ხიდიდან ღორეშის ადმინისტრაციულ ცენტრამდე გზაზე ბეტონის საფარის დაგება რამდენიმე ხნის წინ დასრულდა. მოასფალტებულია ასევე ბაზალეთის ცენტრალური გზა. გზის შუა ნაწილში მძიმედ დაზიანებული და ამორტიზებულია დაახლოებით 11 კილომეტრიანი მონაკვეთი, რომლის სამუშაოებიც ამჟამად მიმდინარეობს, სარგვეშის ტერიტორიაზე გადის.

„ომში ვიქნებით ხვალეც...“

კიდევ ერთი უმშვენიერესი წიგნი შეემატა ჩვენს უმდიდრეს პოეტურ საგანძურს. ესაა სულ ცოტა ხნის წინათ გამოცემული ქართული პატრიოტული პოეზიის 920 გვერდიანი ანთოლოგია (გამომცემლობა „ციცინათელა,“ თბილისი, 2016 წელი).

შემდგენლებმა, ბატონებმა: აკაკი ბრეგაძემ და ზაალ ბოტკოველმა ანთოლოგიას „შენ ხარ ვენახი“ უწოდეს. ამონარიდი მეფე დემეტრე პირველის უკვდავი საგალობლიდან, რომელიც მან ღვთისმშობლის სადიდებლად აღავლინა.



რასაკვირველია, ჩემს საგაზეთო წერილს არ აქვს იმის პრეტენზია, რაიმე კრიტიკული პოზიციებიდან შევაფასო აღნიშნული ანთოლოგია. ჩემი მიზანია, მკითხველს გავუზიარო პირადი პატივისცემა შემდგენლებისა და გამომცემლობის მიმართ და გავხადო იმ სიხარულის მონაწილე, რაც ამ წიგნთან შეხვედრისას განვიცადე. მასში ხომ ფართო სპექტრითაა წარმოდგენილი ქართული მშობელი მიწის, ქართული ენისა და ერის სიყვარულით ნასაზრდოები პოეტური მარგალიტები ხალხური პოეზიიდან და ქართველ პოეტთა შემოქმედებიდან უძველესი დროიდან დღემდე.

უფლისგან მიმადლებულ პოეტურ ნიჭს ძალუძს, ძალზე ტევად სტრიქონებში, სულ რამდენიმე სიტყვაში, ჩატიოს ერის ცხოვრების ისტორია. ის გზა, რომელზეც ვიდექით ოდითგანვე, ვდგავართ ახლა და დავდგებით მომავალშიც...

„გარს გვერტყა მუდამ ჭილყვავი,
მოსდევდნენ უცხო ქარებს,
ომში ვართ, ომში ვიყავით,
ომში ვიქნებით ხვალეც...“

დამეთანხმებით, ამ სტრიქონებს ზედმეტი კომენტირება არ სჭირდება, რადგან მასში ჩვენი წარსულის, აწმყოსა და მომავლის საოცარი სინთეზია პოეტურ პრიზმაში დანახული...

მინდა, შემდგენელთა წინათქმიდან „შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა“ შემოგთავაზოთ ამონარიდი:

„ანთოლოგიის შემდგენლებმა აუცილებლობად, უფრო მეტიც, გადაუდებელ საჭიროებად მიიჩნიეს, მასში წარმოდგენილი ყოფილიყვნენ ჩვენი აფხაზი და ოსი კოლეგები, ქართული მიწის მკვიდრნი, ღვიძლი შვილები. ღრმად გვწამს, რომ სწორედ ისინი იქნებიან პირველნი, რომლებიც სრულად გაიაზრებენ, რომ თუ გადარჩენა სურთ, თუ გადარჩენა უწერიათ არსთა გამრიგის მიერ, მხოლოდ ქართველებთან ერთად გადარჩებიან და არ ჩაიკარგებიან ისტორიის ფოლიანტებში...

მსგავსი ტიპის ანთოლოგიები არაერთი გამოცემულა ჩვენში. შეიძლება ვინმემ იკითხოს კიდეც, აბა რა საჭირო იყო ასეთი ანთოლოგიის კიდევ ერთხელ გამოცემაო. საქმე ის გახლავთ, ბატონებო, რომ ახლა არნახულად უჭირს თქვენსა და ჩვენს სამშობლოს, ყოფნა-არყოფნის ზღვარზეა მისი არსებობა. მრუმე ტყვიისფერი ღრუბლები სულ უფრო მეტი დაჟინებით ჯარდება ცაფირუზზე და თუ ხელი არ გამოვიღეთ, თუ ერთი ხმამაღლა, ომახიანად არ შევუძახეთ თანამომძეთ და არ შევახსენეთ ქართველთა არსებობის მარადიული ღირებულებანი, მართლაც თავზე დაგვემხობა ცარგვალი. ჩვენი არსებობის დრამატიზმს ისიც აძლიერებს, მტერი მარტო ხმლით კი არა, ფულითაც გვიტევს, მირიადი, უთვალავი ფულით ცდილობს ჩვენს დაპყრობას, ჩვენს გადაგვარებას, ჩვენს იავარქმნას, ჩვენი წმიდათაწმიდა ტრადიციების ხელყოფას...

ჰოდა, ჩვენი ანთოლოგიის უპირველესი მიზანი ის გახლავთ, რომ კიდევ ერთხელ შეგახსენოთ, თუ რანი ვიყავით, რანი ვართ და რანი გვინდა ვიყოთ მომავალში. ილუზიებს არ ვემონებით და კარგად ვიცით, რომ ეს ანთოლოგია ქვეყნის ერთი რიგითი ჭირისუფლის პაწანინა ცრემლია, მაგრამ გულმდუღარე და პატიოსანი ცრემლი. წვეთი ქვას ხეთქავსო და ძალიან გვინდა, ჩვენი წვეთი სხვა წვეთებს შეუერთდეს და დიდი, ვეება ჩანჩქერივით დაუნდობლად დაატყდეს თავს, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს სულებში ჩაბუდებულ უკეთურობას და შემდეგ კი მოყვარედ მოსულ მტერს...

არადა, მტერი ჭიშკართანაა მომდგარი, ფხიზლად, ქართველებო!“

და უმთავრესი, რამაც ეს წერილი დამაწერინა, ისაა, რომ ანთოლოგიაში ჩვენი სამკვიდროს, ხარაგაულის, ენის მადლითა და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით გულანთებული მამულიშვილების პოეტური სულის გამონაშუქიცაა დავანებული.

აი, ჩვენი უსაყვარლესი ქალბატონი, პოეტი და მოღვაწე, ლინა ბარათაშვილი, ლექსში „სხვანაირი მოფერება უნდა“ რა საოცარი პოეტური ფერებით შეგვაგრძნობინებს თითოეული ჩვენგანის სადღეისო მისიას.

„თუ ნაღდად არ ვიქართველეთ
ყველა წვეთი სისხლით,
ვით ვიქნებით ქართველები
ან იმედით ვისით?

წუთითაც რომ ჩაგვეთვლიმოს,
თუ მოვხუჭეთ თვალი,
საქართველოს დაუნდობლად
დაგვიკორტნის ყვავი...“

კრებულის 355-ე გვერდზე ჭეშმარიტი ხარაგაულელი, ცხოვრების საინტერესო გზებით მავალი და მოსწავლე-ახალგაზრდობის არაერთი თაობის გზამკვლევი, ხარაგაულის მე-2 საჯარო სკოლის მესაჭე, ბატონი ვალერი გოგნაძე, მოუხმობს ირანსა და თურქეთში მცხოვრებ ჩვენი სულისა და ხორცის ნაწილს, ჩვენს ქართველებს, ლექსით „საქართველოა ახლოს“

„თანდათან პატარავდება
ჩვენი ზვარი და ყანა,
ასე სულ მალე დადგება
ჩვენი გაქრობის ხანა.

მოდი, სადა ხარ აქამდე,
აქ შენი ჯიში სახლობს,
შორია გურჯისტანამდე,
საქართველოა ახლოს!“

როგორი სიყვარულითა და მოწიწებით, მინდა, მოვიგონო ჩემი რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, დიდად განათლებული, მიხეილ ჩიკვაიძე. როგორ გავიხარე, როცა ამ უმშვენიერესი ანთოლოგიის 570-ე გვერდზე მისი შვილიშვილის, მამა ილია - ნუგზარ ჩიკვაიძის ლექსი „მეფე აღმაშენებელი“ ვიხილე, რომლითაც კიდევ ერთხელ ეზიარება მკითხველი იმ საოცარ მადლს, რომელიც მეფის უკვდავ საქმეებს უკავშირდება.

„ცას გაუღო გულის კარი,
მიწას მისცა მხვნელ-მთესველი,
დიდგორს დაადევნა ჯარი,
თვალიც სინანულით სველი.

ცად აღაპყრო და მეუფემ
უწყალობა მტერზე ძლევა,
კაცად კაცმა, მეფედ მეფემ
მიწად მიწა დაატყვევა,
მერმე საგალობელ-ცრემლით
ცოდვის ბინდი გააძევა...“

მაშ ასე, ძვირფასო მკითხველო, ვისაც ჯერ არ განგიცდიათ, გწამდეთ, უდიდესი ბედნიერება გელით ამაღლებული სულისკვეთებით შექმნილ წიგნთან შეხვედრით, რომლის ყდას, ტიტულსა და ფორზაცს ამშვენებს ანანურის ხურორთმოძღვრული ანსამბლის დიდი ტაძრის რელიეფები.

მერი გიორგიძე

სპექტაკლი სტუდენტებისათვის

2016 წლის 12 ოქტომბერს თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის კინოდარბაზში, საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ინიციატივით, გაიმართა რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის სპექტაკლი „მოყვასისათვის შეწირულები“. სპექტაკლს უძღვებოდა თეატრის დამაარსებელი, სცენარისტი, რეჟისორი და მსახიობი იზა ვეფხვაძე და მასზე მოწვეული იყვნენ სხვადასხვა უნივერსიტეტის პირველკურსელები. ლიტერატურული სპექტაკლი ეძღვნებოდა მიხეილ თამარაშვილს, წმინდა გრიგოლ ფერაძეს, პროფესორ იოსებ ჟორდანიასა და მამა ილია კარტოზიას - მოყვასისათვის თავგანწირულ ქართველებს.

აღნიშნულ საღამოს სხვა სტუდენტებთან ერთად, ესწრებოდნენ გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების პირველი და მეორე კურსის სტუდენტები, რომლებიც სიტყვით წარდგნენ დამსწრე აუდიტორიის წინაშე და გამოხატეს საკუთარი დამოკიდებულება ჩატარებული მონოსპექტაკლის მიმართ.

საღამო ძალიან მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა. ქალბატონმა იზა ვეფხვაძემ დამსწრე საზოგადოებას კიდევ ერთხელ გაახსენა იმ ადამიანების ღვაწლი, რომელთაც მოყვასს გადარჩენის მიზნით საკუთარი სიცოცხლე შესწირეს. ბედნიერებაა, რომ გვყავდნენ მოყვასისათვის თავგანწირული ისეთი გმირები, როგორებიც იყვნენ:მიხეილ თამარაშვილი, გრიგოლ ფერაძე, იოსებ ჟორდანია და მამა ილია კარტოზია. სწორედ ასეთი პიროვნებების დამსახურებაა ის წარსული, რომელზეც საქართველოს აწმყო და მომავალი იქნება დამოკიდებული. ჩვენ დარწმუნებულები ვართ, იმ ქვეყანას, რომელმაც ასეთი შვილები გაზარდა, ნამდვილად ექნება ნათელი მომავალი.

ასეთი ლიტერატურული მონოსპექტაკლები, რომელსაც ქალბატონი იზა ვეფხვაძე საქართველოს სხვადასხვა ქალაქში მართავს, არა მარტო ინტერესს იწვევს, არამედ თითქოს თვალწინ გვიცოცხლებს იმ ყოველივეს, რაზეც სპექტაკლში მოგვითხრობს. ეს აღმზრდელობითიცაა იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ცხოვრებაში პირველ ნაბიჯებს დგამენ.

ამ საღამოსთვის, პირველ რიგში, დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ჩვენს ლექტორს, ქალბატონ მაია კვეზერელ-კოპაძეს, რადგან მისი დამსახურებაა, რომ გაგვაცნო ქალბატონი იზა ვეფხვაძე და მოგვეცა შესაძლებლობა, დავსწრებოდით ამ მრავალმხრივ განსხვავებულ, გამორჩეულ, საინტერესო სპექტაკლს, რომლის მეშვეობით ბევრი ისეთი ამბავი და ფაქტი გავიგეთ, რაც დღემდე არ ვიცოდით. მადლობა, ქალბატონო იზა! ყოველთვის დიდი ინტერესით და პატივისცემით მოვალთ თქვენს ლიტერატურულ სპექტაკლებზე.

ანა ყაველაშვილი, ზურაბ ხვიჩია, თეონა მიქაძე, ანა სადრაძე, ანანო რუხაია -
გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების II კურსის სტუდენტები.

***P.S.** აღნიშნული სპექტაკლის შემდეგ ქალბატონი იზა ვეფხვაძე ეროვნულ-სახელმწიფოებრივ საქმიანობაში შეტანილი წვლილისათვის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა „მამულიშვილთა გახსენება“ საპატიო სიგელით დააჯილდოვა.*

„ქართუ ჯგუფის“ დაფინანსებით მირონწმინდაში წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარს სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა

სოფელ მირონწმინდაში წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარს სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა. პროექტი კულტურული მემკვიდრეობის ფონდმა განახორციელა და იგი ბიძინა ივანიშვილის დაფუძნებულმა კომპანია „ქართუ ჯგუფმა“ დააფინანსა. განახლებული ტაძარი მარგვეთისა და უბისის ეპარქიის ეპისკოპოსმა, მეუფე მელქისედეკმა (ხაჩიძე) აკურთხა. ტაძრის კურთხევაში მონაწილეობა მიიღეს ასევე გერმანიისა და ავსტრიის ეპისკოპოსმა ლაზარემ და იღუმენმა ანტონმა (სულთანიშვილი). აღსანიშნავია, საქართველოს მეხუთე პატრიარქმა დავით V (დევდარიანმა), სწორედ ამ ტაძარში ჩაიცვა პირველად სტიქარი და შეუდგა სულიერი ცხოვრების ნეტარ გზას.

„უფლის ძალითა და მადლით ამ უდიდესი ისტორიის მატარებელ ტაძარს რესტავრაცია ჩაუტარდა. დღეს ორმაგი მადლი ტრიალებს აქ, ორი ეპისკოპოსი ესწრება ტაძრის კურთხევას“ - ბრძანა ხარაგაულის სამლოცველო სახლის წინამძღვარმა იღუმენმა ანტონმა.

მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსი მეუფე მელქისედეკის თქმით, მისთვის დიდი პატივია იყოს იმ ეპარქიის მღვდელმთავარი, საიდანაც საქართველოს ორი პატრიარქი: დავით V (დევდარიანი) და ქრისტეფორე III (ციცქიშვილი) იყვნენ. „მადლობა ღმერთს და წმინდა ნიკოლოზს, რომ მოხერხდა და შევძელით ასეთი მადლიანი ტაძრის განახლება, თავიდან კურთხევა. ეს ღვთისა და იმ უდიდესი პატრიარქების ლოცვის დამსახურებაა, რომლებიც აქ მოღვაწეობდნენ. დღეს ჩვენთან სტუმრად ბრძანდება ყოვლადუსამღვდელოესობა გერმანიისა და ავსტრიის ეპისკოპოსი ლაზარე,რაც დიდი პატივია ჩვენი ეპარქიისთვის.”-აღნიშნა მეუფე მელქისედეკმა.

მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მადლობა გადაუხადა ყველა იმ ადამიანს, ვინც მცირედი შრომა და ლოცვა შესწირა ამ მშვენიერ ტაძარს. განსაკუთრებული მადლიერება კი პაატა დევდარიანის მიმართ გამოხატა. როგორც მეუფე მელქისედეკმა ბრძანა, ბატონი პაატა დაუზარებლად, თავისი რწმენითა და შემართებით აკეთებს ღვთისა და მოყვასის საქმეს.

პაატა დევდარიანი წმინდა ნიკოლოზის ტაძრის ისტორიაზე გვესაუბრა.

„ტაძრის საძირკვლის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ აქ სამნავიანი ბაზილიკა იყო. უკანა მხარეს არის კელიები, თავლა, ხელის წისქვილი, სატრაპეზო, სამრეკლო. ეს ყველაფერი მიუთითებს, რომ ამ ადგილზე მონასტერი იყო. ეკლესიის აღდგენის დროს ვიპოვეთ ქვა, რომელზედაც ასომთავრულით იკითხება „ქრისტეს აქეთ აღვაშენე სამრეკლო და სულის საცხონებლად აღვადგინე ტაძარი ესე“. ტაძარში იგრძნობა ბერძნული კვალიც, აქ არის მათი ხელწერაც, რაც მიუთითებს რომ გარკვეული დროის განმავლობაში აქ ბერძნები მოღვაწეობდნენ. ტაძრის მხატვრობა XIV საუკუნით თარიღდება და წინა მხარეს მიშენებულია ე.წ „საქალებო“. თქმულების თანახმად, საქალებოს აშენებას სვანეთიდან დევდარიანების გვარის ჩამოსვლას უკავშირებენ, რადგან სვანეთში ქალები და კაცები ეკლესიაში ცალ-ცალკე იდგნენ და ერთად დგომის უფლება არ ჰქონდათ. სამუშაოების დროს ვიპოვეთ ბოლნური ჯვარი. ტაძრის უკან კიდევ ერთი ჯვარგუმბათოვანი ტაძრის ნანგრევებია. ასევე არის მამათა და დედათა საძვალე, სადაც ეკლესიაში მოღვაწე მამებისა და დედების შესვენება ხდებოდა. ასეთი საძვალეა ზარზმაში, ბეთანიაში, მწვანე მონასტერში. შენებისას შევეცადეთ, ზუსტად იგივე არქიტექტურა შეგვენარჩუნებინა, რაც იყო, თუმცა ბევრი სიწმინდე დაკარგულია. ეს ადგილი სამონასტრო ცხოვრებისთვის იდეალურია. ვინატრებდი და ვისურვებდი, რომ აქ კვლავ განახლდეს სამონასტრო ცხოვრება“.

ტაძრის კურთხევას მირონწმინდაში ადგილობრივები, მოწვეული სტუმრები და დევდარიანების საგვარეულოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ხარაგაულის საკრებულოში ფრაქცია „თავისუფალი არჩევანის“ შექმნის თაობაზე უარყოფითი რეკომენდაცია გაიცა

იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ ფრაქცია „თავისუფალი არჩევანის“ დაფუძნების შესახებ იმსჯელა.

შეგახსენებთ, რომ ფრაქცია „კონსერვატორებმა“ მისი წევრების მოთხოვნით ფუნქციონირება შეწყვიტა და ისინი საკრებულოში ახალი ფრაქციის - „თავისუფალი არჩევანის“ ჩამოყალიბებას ითხოვდნენ.

იურიდიული სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრმა, შალვა ლურსმანაშვილმა, განაცხადა, რომ აღნიშნული ფრაქციის შექმნა თვითმმართველობის კოდექსსა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტს ეწინააღმდეგება. მისივე თქმით, სამართლებრივ აქტებში მსგავსი საფუძვლით ფრაქციის შექმნა დაუშვებელია. იგივე აზრი გამოხატა გივი ხიჯაკაძემაც.

ვარლამ ჭიპაშვილმა კომისიის სხდომაზე აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 30-ე და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 35-ე მუხლებში ცალსახადაა გაწერილი ფრაქციის შექმნის საფუძვლები. ფრაქცია „თავისუფალი არჩევანი“ ვერ აკმაყოფილებს ამ მუხლების მოთხოვნებს. კერძოდ, ამ ფრაქციის შექმნის მსურველნი არიან წარდგენილები საარჩევნო ბლოკის მიერ, არიან უპარტიოები და კანონის შესაბამისად მათ უფლება აქვთ, გაწევრიანდნენ წარმდგენ ბლოკში შემავალი პარტიების მიერ შექმნილ ფრაქციაში.

კენჭისყრაზე ფრაქციის შექმნის საკითხი უარყოფითად გადაწყდა და მომზადდა შესაბამისი დასკვნა, რომელიც 7 ნოემბერს გამართულ საკრებულოს სხდომაზე იქნება წარდგენილი.

მარიანა ბურჯალიანი

მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლის მასწავლებლის ხელფასი გაიზარდა

„საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებაში შეტანილი ცვლილების თანახმად, მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლის მასწავლებლის თანამდებობრივ სარგოზე დანამატი, სრული დატვირთვის შემთხვევაში, 142 ლარის ოდენობით განისაზღვრა.

შესაბამის ბრძანებას განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ ხელი უკვე მოაწერა.

როგორც ბრძანებაშია განმარტებული, მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლის მასწავლებლის დანამატი არ არის დამოკიდებული მასწავლებლის განათლებაზე, კვალიფიკაციაზე და სამუშაო სტაჟზე.“

ამ ეტაპზე, დანამატი მხოლოდ მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლის მასწავლებელს მიეცემა.

დაუვიწყარი საღამო

„საშინელია, მაგრამ ტკბილი წაწყმედაცაა შემოქმედება და ვინც ამ თრიაქით მოიწამლება, მშვიდობა არ უწერია მის სულს,“ — ბრძანებდა სიტყვის დიდოსტატი კონსტანტინე გამსახურდია. სწორედ ამ „ტკბილი წაწყმედის“ სამყაროში აღმოვჩნდით მიმდინარე წლის 5 ოქტომბერს ვარძიის საჯარო სკოლის (დირექტორი ჯამბულ ხიჯაკაძე) მოსწავლეები და პედაგოგები, როდესაც სკოლაში გვესტუმრა ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურული თეატრი და მისი ხელმძღვანელი ენერგიული, შემოქმედი, ფანტაზიითა და გულისხმიერებით აღსავსე ქალბატონი, „მგალობელი ბულბული“ იზა ვეფხვაძე. ეს დღე მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ 5 ოქტომბერი მასწავლებლის დღეა და ეს საჩუქარი სკოლის დირექტორმა მასწავლებლებს მიუძღვნა.

ქალბატონმა იზამ დიდი გრძნობითა და განცდით წარმოგვიდგინა გოდერძი ჩოხელის ცხოვრება და შემოქმედება. დამსწრე საზოგადოება სულგანაბული უსმენდა ნიჭიერების უსაზღვრო გაქანებას. ქალბატონ იზას მიერ გრძნობით წარმოთქმული ყოველი სიტყვის შემდეგ ემოციას ვერ მალავდა მსმენელი.

სტუმრებს შორის იმყოფებოდა ვარძიელთა საყვარელი რძალი, ნიჭიერი მოსწავლის, იზა ვეფხვაძის, სიტყვიერების პედაგოგი, ჭეშმარიტი მოძღვარი ქალბატონი მერი გიორგიძე, რომელიც მრავალი წლის წინ ჩვენს სკოლაშიც მასწავლებლობდა და ჩვენს ბებიებსა და ბაბუებს ასწავლიდა. ამ ორი უნიჭიერესი ქალბატონის ურთიერთობა წარუშლელი მაგალითია მოსწავლე-მასწავლებლის ასეთი თბილი და ტკბილი დამოკიდებულებისა.

ღონისძიების დასასრულს ქალბატონ იზასთან ერთად სამახსოვრო სურათები გადავიღეთ და პირობა მივეცით, რომ საფუძვლიანად გავეცნობით გოდერძი ჩოხელის შემოქმედებას.

დიდი მადლობა, ქალბატონო იზა, ასეთი დაუვიწყარი საღამოსათვის.

ვარძიის საჯარო სკოლის მერვე კლასის მოსწავლეები

განცხადება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ყალიბდება სრულიად საქართველოს ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ჩოხოსან რაინდთა დასის (თავმჯდომარე პროფესორი გოგი დოლიძე) ფილიალი.

მსურველებს შეუძლიათ გაწევრიანება. ასაკი შეუზღუდავია. აუცილებელი პირობაა, რომ მსურველს ჰქონდეს ეროვნული სამოსი (ჩოხა - ახალუხი).

ფილიალი დაფუძნდება 2015 წლის 5 ნოემბერს.

მსურველებს გთხოვთ, წინასწარ ჩაეწეროთ. საორგანიზაციო ჯგუფის წევრებთან (იზა ვეფხვაძე, მერი გიორგიძე, ივანე ჭიპაშვილი).

საკონტაქტო ტელეფონები:
557 19 23 32 (იზა ვეფხვაძე)
577 67 12 72 (მერი გიორგიძე)
577 66 30 84 (ივანე ჭიპაშვილი)

იზა ვეფხვაძე,
სრულიად საქართველოს ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ჩოხოსან რაინდთა დასის საპატიო წევრი

წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიაში სასწავლო პროცესი განახლდა

ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიაში სასწავლო პროცესი განახლდა. სწავლის პროცესის დაგვიანება გიმნაზიის ნაწილობრივი რემონტით იყო გამოწვეული. შენობაში სრული რემონტი ჩაუტარდა 8 საკლასო ოთახს, გამოიცვალა კარ-ფანჯარა და კლასებისთვის შეძენილ იქნა ახალი სასკოლო ინვენტარი.

გიმნაზიაში სარემონტო სამუშაოები მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსის მეუფე მელქისედეკისა (ხაჩიძე) და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარეობდა. ხარაგაულის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გიმნაზიის რემონტისათვის 25 ათასი ლარი გამოიყო. აღნიშნული თანხით საშენი მასალის შეძენა მოხდა, ხოლო რეაბილიტაციის პროცესისთვის სხვა საჭირო ხარჯები მეუფე მელქისედეკის დახმარებით დაფინანსდება.

სასწავლო წლის დაწყება ხარაგაულის გიმნაზიაში საზეიმო ღონისძიებით აღინიშნა. მოსწავლეებს, პედაგოგებს და პირველკლასელებს სწავლის დაწყება მიულოცეს უბისისა და მარგვეთის ეპისკოპოსმა, მეუფე მელქისედეკმა და გიმნაზიის დირექტორმა იღუმენმა ანტონმა(სულთანიშვილი).

მეუფე მელქისედეკი (ხაჩიძე): „მინდა, მადლობა გადავუხადო ამ სკოლის მოსწავლეთა მშობლებს და პედაგოგებს, რომლებიც ზრუნავენ ჩვენი მომავალი თაობების აღზრდისთვის. ამ ბავშვებზე დგას ჩვენი მომავალი და უფლება არ გვაქვს, მაქსიმუმი არ გავაკეთოთ მათთვის. კეთილი ადამიანების გვერდში დგომით შევძელით გიმნაზიის ინფრასტრუქტურის ნაწილის მოწესრიგება. მადლობა ადგილობრივ ხელისუფლებას ფინანსური მხარდაჭერისთვის და ყველა იმ ადამიანს, ვინც მცირედი წვლილი გაიღო ამ სკოლისათვის.განსაკუთრებული მადლობა ირაკლი ებანოიძეს, დასაფასებელია მისი ღვაწლი. ჩემი ეპარქიისა და მთელი მრევლის სახელით კიდევ ერთხელ გილოცავთ სასწავლო წლის დაწყებას, ღმერთმა დალოცვილები და დღეგრძელები გამყოფოთ. ვიმედოვნებ, რომ მომავალი სასწავლო წელი გიმნაზიაში სრულად გარემონტებულ შენობაში დაიწყება“.

ღონისძიებას ხარაგაულის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, დავით კიკნაძე, ესწრებოდნენ.

ბატონმა დავითმა მადლობა გადაუხადა ყველა იმ ადამიანს, ვინც წვლილი შეიტანა გიმნაზიის გარემონტებაში და პედაგოგებს, მოსწავლეებს და ყველა პირველკლასელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პირადი მილოცვა გადასცა.

გიმნაზიაში სასწავლო პროცესის განახლებისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიგელები გადაეცათ წარმატებულ მოსწავლეებს. შესრულდა სიმღერები და საგალობლები.

ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიაში წელს 13 პირველკლასელი შეუდგა სწავლას.

თეა ბერიძე
მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში

ჯიდევ მრავალი წელი თქვენს შთამომავლებთან ერთად, ქალბატონო ელენა!

19 ოქტომბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ლახუნდარაში მცხოვრებ ელენა არჯევანიძეს 100 წელი შეუსრულდა. საიუბილეო თარიღი ქალბატონს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ, თემურ ჩხეიძემ, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა, ნანა კიკნაძემ, ამავე სამსახურის სოციალური განყოფილების უფროსმა ალექსანდრე ტაბატაძემ და გამგებლის მრჩეველმა სოფლის მეურნეობის საკითხებში მურმან არჯევანიძემ მიულოცეს. სტუმრებმა ელენა ბებოს ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე უსურვეს.ქალბატონ ელენა არჯევანიძეს 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური პროგრამის ფარგლებში 500 ლარი ჩაერიცხება.

ელენა არჯევანიძე სოფელ ლახუნდარაში თავისი მეუღლის კერაზე ცხოვრობს. მეუღლე, ირაკლი არჯევანიძე, დიდ სამამულო ომში დაიკარგა. 100 წლის ქალბატონი ამჟამად 75 წლის შვილთან, ნანასთან, ერთად ცხოვრობს. ჰყავს ორი შვილიშვილი, ოთხი შვილთაშვილი და ერთი მცირეწლოვანი შვილთაშვილიშვილი, რომლებმაც ელენა ბებოს 100 წლის იუბილე პირადად მიულოცეს და კიდევ ერთი ლამაზი დღე აჩუქეს.

თამარ მაღრაძე

ხაშური - ხარაგაული - ზესტაფონის სარკინიგზო გვირაბის მშენებლობაზე დასაქმებულ პირთა მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ბოლო დროს მოსახლეობის ყურადღება სოფელ ზვარეში გვირაბზე მომუშავე პირთა გაფიცვამ არაერთხელ მიიპყრო. ხაშური - ხარაგაული - ზესტაფონის სარკინიგზო მაგისტრალზე დასაქმებულები გაფიცვის მიზეზად გაუსაძლის სამუშაო პირობებს, უსაფრთხოების ნორმების დარღვევასა და მოძველებული ტექნიკით მუშაობას ასახელებდნენ. „ახალი ხარაგაული“ ეტაპობრივად აშუქებდა სოფელ ზვარეში მიმდინარე მოვლენებს. მნიშვნელოვანია, რომ ამ დროის განმავლობაში მუშების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად უწყვეტლივ მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებსა და ჩინურ მხარეს შორის.

ვითარების გარკვევის მიზნით, ჯანდაცვის სამინისტროს მედიატორს, ლევან ჟორჟოლიანს, დავუკავშირდით. როგორც ბატონმა ლევანმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, სარკინიგზო გვირაბის მშენებლობაზე დასაქმებულ პირთა მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. ჩინური კომპანიის წარმომადგენლებსა და დასაქმებულებს შორის ხელშეკრულებები გაფორმებულია.

„ერთთვიანი მოლაპარაკების შემდეგ შეთანხმება შედგა. დასაქმებულთა მოთხოვნების პაკეტის უდიდესი ნაწილი - ზეგანაკვეთური საათების ანაზღაურება, შვებულებით სარგებლობა, დასვენების დღეები, სამუშაო გრაფიკი, მუშების უნიფორმებით აღჭურვა და ა.შ. დაკმაყოფილებულია. ამჟამად სამუშაო პროცესი მშვიდ და ჩვეულ გარემოში მიმდინარეობს. ეტაპობრივად უმჯობესდება დასაქმებულთა, როგორც საცხოვრებელი, ისე შრომის პირობები.“ - განმარტა ლევან ჟორჟოლიანმა.

შეგახსენებთ, რომ ხაშური - ხარაგაული - ზესტაფონის სარკინიგზო მაგისტრალის გვირაბზე სამშენებლო სამუშაოებს ჩინური კომპანია შ.პ.ს. „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიურო“ ასრულებს.

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 32 25; ტირაჟი 1500 ცალი
დაიბეჭდა შპს „გამომცემლობა სამშობლოში“
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595 51 98 12